

მონოპოლია მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის!

ქართული მედიცინის „ბერმუდის სამკუთხედში“
მომხმარებელთა უფლებები უკვალოდ ქრება

გაზეთი “ეკონომიკური პალიტრა” – 2-8 ივნისი, № 027, 2008

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის არარსებობა ქვეყანაში მონოპოლიების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ფარმაცევტულ ბაზარზე წილობრივი გადანაწილება გახლავთ. ამ სექტორში ყველაზე მსხვილ მოთამაშედ კომპანია „ავერსი“ ითვლება და ის მთლიანი ბაზრის 35%-ს ფლობს. „ავერსს“ მცირედით ჩამორჩება ფარმაცევტული კომპანია „პე-ეს-პე“, რომელიც ბაზრის 30%-ზე ცოტა მეტს აკონტროლებს. ამავე პროფილის კომპანია „ჯი-პი-სი“-ს წილად ფარმაცევტული ბაზრის მხოლოდ 15% მოდის. დანარჩენი 20%-ს კი მედიკამენტებითა და სამედიცინო აღჭურვილობით მოვაჭრე მცირე სავაჭრო სუბიექტები ინაწილებენ.

ფარმაცევტული ბაზრის მონოპოლისტებს შორსმიმავალი გეგმები აქვთ და გარდა იმისა, რომ წამლის მწარმოებლებიც თავად არიან (კომპანია „ავერსი“ ფლობს ფარმაცევტულ საწარმო „ავერსი რაციონალს“, ხოლო „პე-ეს-პე“ ამავე პროფილის საწარმო „ჯი-ემ-პი“-ს) და დისტრიბუტორებიც, ზოგადად სამედიცინო ბაზრის დაპყრობასაც აპირებენ. მაგალითად, „პე-ეს-პე“ გეგმავს კერძო პოლიკლინიკებისა და საავადმყოფოების ქსელის გაკეთებას მთელი საქართველოს მასშტაბით და ამბიცია აქვს, ყველაზე მსხვილ პოსპიტალურ ოპერატორად იწოდებოდეს. გულხელდაკრეფილი არც „ავერსში“ არიან, კომპანია თბილისში კლინიკათა ქსელს აშენებს. ოფიციალურად არის ცნობილი, რომ უკვე წლეულს ივლისში იხსნება „ავერსის“ კლინიკა ვაჟა-ფშაველას გამზირზე. არაოფიციალური ინფორმაციით კი კომპანია „ავერსი“, სახელისუფლებო წრეების ხელშეწყობით, პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ე.წ. არამიანცის კლინიკა) ტერიტორიის ათვისებას გეგმავს.

„ბერმუდის სამკუთხედი“

აშკარაა, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე საქმე გვაქვს ველურ კონკურენციასთან, რაც მონოპოლიებს შესაძლებლობას აძლევს, პროდუქციაზე ფასები სურვილისამებრ დააწესონ. ამას ემატება, ქართული ფარმაცევტული კომპანიების მიერ დანერგილი ე.წ. ბერმუდის სამკუთხედის პრინციპი (წამლის მწარმოებელი-დისტრიბუტორი-ექიმი), რაც ფაქტობრივად მომხმარებელს არჩევანის გაკეთების უფლებას ართმევს, კომპანიებისთვის კი წამლის გასაღების საუკეთესო და გარანტირებული საშუალებაა. თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ერთ-ერთმა ექიმმა, რომელმაც გასაგები მიზეზების გამო გეთხოვა, მისი ვინაობა არ დაგვესახელებინა, ფარმაცევტებისა და ექიმების გარიგების შესახებ გვიამბო.

გაირკვა, რომ ფარმაცევტული კომპანიები ექიმს, ყოველი გაყიდული მედიკამენტიდან 10%-იან წილს სთავაზობენ. სანაცვლოდ, ექიმი პაციენტს რეცეპტს კონკრეტული კომპანიის ლოგოთი და რეკვიზიტებით დამშვენებულ ფურცელზე უწერს და აქედან მატერიალურ სარგებელს მოეღის. რეცეპტზე მითითებულია ექიმის გვარ-სახელს და იმ სამედიცინო დაწესებულების სახელწოდება, სადაც მუშაობს. რეცეპტის ფურცლის ის ნაწილი, წამლის შეძენის შემდეგ, აფთიაქში რჩება. თუ რატომ, ამის მიხვედრას დიდი სიბრძნე არ სჭირდება. ამით ექიმი კონკრეტულ ფარმაცევტული კომპანიას პირდაპირ უწევს რეკლამას და მეტი დამაჯერებლობისთვის, პაციენტს არწმუნებს, რომ რეკომენდებულ აფთიაქში მას ფასდაკლებით მომსახურებიან, რაც წმინდა წყლის სიცრუეა. ექიმები აღიარებენ, რომ მსგავსი ქმედება სამედიცინო ეთიკის ნორმებს სცილდება, მაგრამ მცირე შემოსავლის პირობებში დამატებით სარგებელზე უარის თქმას ყველა ვერ ახერხებს.

„რეფორმა“ ბრიყვული არგუმენტით

ამგვარ სასათბურე პირობებში, ფარმაცევტულ კომპანიებს მთლიანად სამედიცინო ბაზრის ხელში ჩაგდება ნამდვილად არ გაუჭირდებათ. მით უფრო, რომ ქვეყანაში აღარ არსებობს უფლებამოსილი ორგანო, რომელიც სამომხმარებლო ბაზარზე მეურნე სუბიექტების მონოპოლიურ საქმიანობას წინ აღუდგებოდა.

ლადო პაპავა (ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში): – იმას, რაც დღეს საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე ხდება, ეკონომისტების ენაზე ოლიგოპოლია ჰქვია: საქმე გვაქვს ფარმაცევტული პროდუქციის რამდენიმე მიმწოდებელთან, რომლებსაც ბაზარი პრაქტიკულად გაყოფილი აქვთ, ძირითადად, ურთიერთშეთანხმებით. ასეთ ვითარებაში მოხმარებელს დიდი არჩევანი არ აქვს, ამ სამი კომპანიიდან ერთ-ერთს უნდა მიაკითხოს და ბუნებრივია, ისინი ფასწარმოქმნის მეტ-ნაკლებად ერთიან პოლიტიკას ატარებენ.

როდესაც ოლიგოპოლიები ჩვენნაირი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში იქმნება, ისინი აუცილებლად ასოცირებული უნდა იყვნენ ხელისუფლებასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბაზარზე ასეთი მდგომარეობის შენარჩუნება უბრალოდ გაუჭირდებათ. ვფიქრობ, დიდ საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ფარმაცევტული კომპანიების საქართველოში საქმიანობა სწორედ ამ სცენარით ვითარდება. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მეტად ცუდია.

სწორად გამიგეთ, სამივე ფარმაცევტული კომპანია წარმატებულია თავის სექტორში, პირველ რიგში, როგორც ეკონომისტი შევაფასებდი მათ საქმიანობას დადებითად, თუნდაც იმიტომ, რომ პირველი აღრიცხვა თუკი სადმე მოეწყო ქვეყანაში, ეს სწორედ სააფთიაქო სისტემაში მოხდა. ცივილიზებული ბაზრისკენ პირველი ნაბიჯები, თუ რომელიმე სექტორმა გადადგა ქვეყანაში, სწორედ ფარმაცევტული ბაზარი იყო. მაგრამ იმავედროულად უნდა ითქვას, რომ ეკონომიკისა და თავად ამ ფირმების განვითარებისთვის, ოლიგოპოლიური მდგომარეობის შენარჩუნება ნამდვილად არ იქნება მართებული.

უფრო მეტიც, საუბარია, რომ ამ კომპანიებმა შესაძლოა ხელთ იგდონ აგრეთვე სხვადასხვა საავადმყოფოები. ამ ფირმების ნაწილს უკვე არა მხოლოდ შემოაქვს წამლები, არამედ თავადაც აწარმოებენ. ასეთ პირობებში ისინი კონკურენციას ზღუდავენ. არაერთი კარგი წამალი უკვე აღარ შემოდის – არ აწყობთ, რადგან მაშინ მათი წარმოებული წამალი არ გაიყიდება. ახლა შეღავათიან პირობებში არიან, თუ სამედიცინო დაწესებულებებიც მათ ხელში გადავა, ეს ხელს შეუწყობს მათ კიდევ უფრო გაბატონებას ბაზარზე. შედეგად ჩვენს თანამოქალაქეებს შეეზღუდოთ არჩევანის შესაძლებლობა, ალტერნატიული მომსახურება მიიღონ და არა მხოლოდ საქართველოში წარმოებული წამალი შეიძინონ.

თუ ამ მიმართულებით რამე ცუდი ხდება, ეს სახელმწიფოს ბრალია, რომელმაც ქვეყანაში ანტიმონოპოლიურ რეგულირებაზე უარი თქვა და ამით მთლიანად ქართველ მომხმარებელს, ქვეყნის ეკონომიკაში კონკურენციის არსებობას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. 2004 წელს ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებას რეფორმა დაარქვეს და მიზეზად დასახელდა ბრიყვული რამ, რომ საქართველოს ეკონომიკა მცირე ზომისაა, ძირითადად ღიაა, კონკურენციაში არის უცხოეთის ბაზრებთან და აქედან გამომდინარე, არანაირი მონოპოლები ქვეყანაში არ იარსებებს, რადგან ისინი ხომ ისედაც კონკურენციაში არიან უცხოეთთან. დაავიწყდათ ისეთი ელემენტარული რამ, რაც ეკონომიკური ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმაც კი იცის: ნებისმიერ კონკურენციას შედეგად მოჰყვება კონკურენციაში გამარჯვებული და დამარცხებული. როგორც წესი, გამარჯვებულები მსხვილდებიან და დამარცხებულებს თავისი გავლენის ქვეშ აქცევენ. ეს სულაც არ არის დამოკიდებული ბაზრის ზომებზე. შედეგად მივიღეთ საქართველოს ეკონომიკის მონოპოლიზებული სისტემა.

– ანტიმონოპოლიური საქმიანობის აღსაკვეთად თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობის სააგენტო უნდა შექმნილიყო...

– სამსახური, რომელიც ანტიმონოპოლიურის ნაცვლად შექმნეს, იყო ილუზია, რადგან რამის რეგულირების უფლება კანონით არ ჰქონდა, თანაც, სულ ხუთი თანამშრომელით დაუდგინეს. წარმოგიდგენიათ, როგორ შეიძლება ხუთი თანამშრომლით საქართველოს მთელი ბაზრის გაკონტროლება? ეს იყო სამსახური სამსახურისთვის, აბსოლუტურად უფუნქციო, უცხოელებისთვის თვალის ასახვევად.

ემა ტუხიაშვილი